

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	24
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
6. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში აღრიცხვით.....	25
7. კლიენტებზე გაცემული სესხები	26
8. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	27
9. სხვა აქტივები	27
10. ძირითადი საშუალებები	28
11. გადასახადები.....	29
12. მიღებული სესხები	30
13. საწესდებო კაპიტალი.....	31
14. წმინდა საპროცენტო შემოსავლები	31
15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	31
16. საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	32
17. პირობითი ვალდებულებები.....	32
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	33
19. კაპიტალის მართვა	36
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	37
21. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს მოცემულ თარიღებში დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მიგვაჩნია, რომ პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მოცემულ თარიღებში დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის და ფინანსური მდგომარეობა სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც მე-2 შენიშვნაშია განმარტებული, ორგანიზაციამ დანერგა ფასს 9, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, ორგანიზაციამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაშიფრა ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მიხედვით ზარალის რეზერვის საწყისიდან საბოლოო ნაშთამდე რეკონსილაცია, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში მომხდარი შემდეგი ცვლილებები: ზარალის რეზერვის ცვლილება, რომელიც შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით, რომელიც შეფასებულია სესხის არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალის ტოლი თანხითა და ფინანსური აქტივების ცვლილება, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებია, როგორც ეს ფასს 7-ის მიხედვით მოითხოვება (პუნქტი 35თ). ასევე, ორგანიზაციამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაშიფრა ფინანსური აქტივების მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება, საკრედიტო რისკის რეიტინგი საფეხურების მიხედვით და ინფორმაცია სესხის გაცემის ვალდებულებებსა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებზე საკრედიტო რისკის გავლენის შესახებ, რომლისთვისაც ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით, სესხის არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალის ტოლი თანხითა და ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებია, რაც წარმოადგენს ფასს 7-ის მოთხოვნებიდან გადახვევას (პუნქტი 35ფ).

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აზხაგში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელი ორგანიზაციისგან.

გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდეს დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი # SARAS-A-720718)

შპს ბიდიოს სახელით


თბილისი, საქართველო

13 ივნისი 2019

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი # SARAS-A-720718)

შპს ბიდიოს სახელით

თბილისი, საქართველო

13 ივნისი 2019

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	453,662	422,684
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	6	1,566,929	-
გაცემული სესხები	7	2,281,375	1,842,667
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	8	164,548	-
სხვა აქტივები	9	65,478	40,489
ძირითადი საშუალებები	10	175,388	202,783
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	11	3,065	1,742
მთლიანი აქტივები		4,710,445	2,510,365
ვალდებულებები			
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	6	1,009,568	-
მიღებული სესხები	12	1,885,590	1,583,063
სუბორდინირებული სესხები	12	1,070,816	
სხვა ვალდებულებები		24,979	36,365
მთლიანი ვალდებულებები		3,990,953	1,619,428
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	3,019,972	2,602,000
აკუმულირებული ზარალი		(2,300,480)	(1,711,063)
მთლიანი კაპიტალი		719,492	890,937
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		4,710,445	2,510,365

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 13 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ იმრან ხიზარ ჰაიატი

ფინანსური დირექტორი _____ ირინა ვორმანი

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	453,662	422,684
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური	6	1,566,929	-
აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გაცემული სესხები	7	2,281,375	1,842,667
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	8	164,548	-
სხვა აქტივები	9	65,478	40,489
ძირითადი საშუალებები	10	175,388	202,783
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	11	3,065	1,742
მთლიანი აქტივები		4,710,445	2,510,365
ვალდებულებები			
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური	6	1,009,568	-
ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
მიღებული სესხები	12	1,885,590	1,583,063
სუბორდინირებული სესხები	12	1,070,816	
სხვა ვალდებულებები		24,979	36,365
მთლიანი ვალდებულებები		3,990,953	1,619,428
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	3,019,972	2,602,000
აკუმულირებული ზარალი		(2,300,480)	(1,711,063)
მთლიანი კაპიტალი		719,492	890,937
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		4,710,445	2,510,365


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 13 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



იმრან ხიზარ ჰაიატი

ფინანსური დირექტორი



ირინა ვორმანი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	14	1,112,358	581,768
საპროცენტო ხარჯი	14	(190,573)	(99,009)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		921,785	482,759
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ცვლილება	7	(50,364)	5,726
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		871,421	488,485
წმინდა მოგება სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით		20,983	-
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		62,523	25,294
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15	(835,356)	(746,517)
საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	16	(597,994)	(504,701)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა ზარალი		(112,317)	(20,404)
ზარალი დაბეგვრამდე		(590,740)	(757,843)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	11	1,323	(133,441)
წლის სრული ზარალი		(589,417)	(891,284)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი
 ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	794,500	(819,779)	(25,279)
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
ფულადი შენატანით	1,202,075	-	1,202,075
სესხის კონვერტირებით	605,425	-	605,425
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(891,284)	(891,284)
2017 წლის 31 დეკემბერი	2,602,000	(1,711,063)	890,937
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
ფულადი შენატანით	417,972	-	417,972
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(589,417)	(589,417)
2018 წლის 31 დეკემბერი	3,019,972	(2,300,480)	719,492

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
ზარალი დაბეგვრამდე		(590,740)	(757,843)
კორექტირებები:			
წმინდა მოგება სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული		(20,983)	-
ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით			
სესხების გაუფასურების ხარჯის ცვლილება	7	50,364	(5,726)
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	14	(921,785)	(482,759)
ცვეთის ხარჯი	16	64,014	56,879
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		112,317	20,404
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე:		(1,306,813)	(1,169,045)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
გაცემული სესხები		(452,815)	(1,502,396)
სხვა აქტივები		(24,989)	1,769
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით		(536,378)	-
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		(164,548)	-
სხვა ვალდებულებები		(11,386)	14,229
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(2,496,929)	(2,655,443)
მიღებული პროცენტი		1,073,411	532,560
გადახდილი პროცენტი		(278,831)	(113,500)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(1,702,349)	(2,236,383)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(36,619)	(17,413)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(36,619)	(17,413)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოძინება მიღებული სესხებიდან		1,438,228	937,669
მიღებული სესხების დაფარვა		(123,851)	(48,826)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		417,972	1,202,075
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება ფინანსური საქმიანობიდან		1,732,349	2,090,918
წმინდა ზრდა ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		(6,619)	(162,878)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		422,684	604,635
გაცვლითი კურსის ცვლილების ნეტო ეფექტი			
უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		37,597	(19,073)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		453,662	422,684

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი დაარსდა 2015 წლის 23 ოქტომბერს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში “ორგანიზაცია”) საიდენტიფიკაციო ნომრით 405121817.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ”).

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ავტო სესხები, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები და ავტოლომობარდი. ორგანიზაციის საერთო მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია ფინანსური რესურსების ეფექტიან მართვასა და შემოსავლების გაუმჯობესებისკენ აგროკულტურული საქონლის წარმოებაში, კომერციულ, სავაჭრო და სამეწარმეო საქმიანობაში, ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფით.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. თითოეული ფილიალის ყოველდღიურ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს მმართველი, რომელსაც ნიშნავს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის წარდგინებით.

სათაო ოფისთან ერთად, რომელიც მდებარეობს: საქართველოში, ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, ნომერი 2, ორგანიზაციას აქვს ასევე 3 ფილიალი თბილისში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დეტალური ინფორმაცია აქციონერების შესახებ გაშიფრულია მე-13 შენიშვნაში. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 1 სექტემბერიდან, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს (ცვლილებამდე საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი შეადგენდა 100 პროცენტს).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ორგანიზაცია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულია დამრგვალებების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ორგანიზაცია საქართველოში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ზარალის მიუხედავად, ორგანიზაცია აქციონერებისა და მესამე მხარისგან იღებს უწყვეტ ფინანსურ მხარდაჭერას. ლიკვიდურობის გაუმჯობესებისთვის ხელმძღვანელობას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს მოლაპარაკება მსესხებელბთან სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რადგან ხელშეკრულების უმეტესობა მოიცავს განახლების პირობებს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია და ორგანიზაციას ექნება დადებითი ფულადი ნაკადები, რათა დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ორგანიზაცია გადავიდა ფასს 9 და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9-ზე და ფასს 15-ზე გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. ორგანიზაციის შეფასებით ფასს 9-ისა და ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული, ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც არ არის ძალაში შესული

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა მომავალი საანგარიშგებო პერიოდებიდან და რომლებიც ორგანიზაციას არ დაუწერგავს ნაადრევად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ფასს 16 იჯარა (სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი პერიოდიდან)

ფასს 16 იჯარა

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად ორგანიზაცია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო ხელშეკრულებისთვის ან ხელშეკრულებისთვის, რომელიც შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამოწვევას: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მოიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ორგანიზაცია ჯერ კიდევ აფასებს ფასს 16-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სხვა

ორგანიზაციის მოლოდინით, სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ და რომელიც არ არის ძალაში შესული არ ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ორგანიზაციამ მიიღო ბასსკ-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოშვებული ფასს 9, საწყისი აღიარების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი). ახალი სტანდარტი აისახა ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკასა და წინა პერიოდებში აღიარებული თანხების კორექტირებებში. ორგანიზაციას არ მიუღია ადრეულად ფასს 9-ით გათვალისწინებული რომელიმე ცვლილება.

ორგანიზაციამ აირჩია ფასს 9-ის გათავისუფლება, არ შეეცვალა შესადარისი პერიოდი, საწყისი აღიარებისას.

შედეგად, განმარტებითი შენიშვნის მიზნებისათვის, ფასს 7-ის შესაბამისი შენიშვნები აისახა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე. ბასს 39-ით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც დაკავშირებულია 2017 წლის ფინანსურ წელთან, მოცემულია წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 9-ის მიღება აისახა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, ასევე ფინანსური აქტივების გაუფასურების სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებაში.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: დაფარვის ვადამდე ფლობილი, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად გამიზნული.

ფასს 9 იყენებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ფასს 9 ანაცვლებს „გაწეული ზარალის“ მოდელს ბასს 39-ში, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე გამოიყენება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, და არა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისთვის. ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ბასს 39-ის შემთხვევაში

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მათ შორის დერივატივები.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა დერივატივებისა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI-ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებით, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი“ (CL) ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით. გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

2018 წლის 1 იანვრიდან ორგანიზაციამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები აღიარა ყველა სადებეტო ინსტრუმენტისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

გაუფასურების ზარალისა და ანარიცხის განსაზღვრებამ გადაინაცვლა „გაწეული ზარალის“ (CL) მოდელიდან, რომელიც ბასს 39-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავდა მას შემდეგ, რაც ზარალის გამომწვევი მოვლენა უკვე მომხდარი იყო, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელზე, რომელიც ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- ფორსმაჟორი, როცა კლიენტი ხდება გადახდისუუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელიც კონტროლს არ ექვემდებარება.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად ორგანიზაცია იყენებს გადეფოლტებული სესხების ამოღების განაკვეთს. LGD მოდელი განსაზღვრავს მხოლოდ ფულად შემოდინებებს. LGD გამოითვლება ფულადი ნაკადების საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

ფინანსური ვალდებულებები

ბასს 39 – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ ჩაანაცვლა ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტი“-მა. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ორგანიზაცია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ორგანიზაცია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონეში შემავალი რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაშიფრულია მე-6 შენიშვნაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა ერიცხება წრფივად 5 წელზე გადაანგარიშებით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ფორვარდულ და სპოტ ოპერაციებს სავალუტო ბაზრებზე.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში გადაფასდებიან სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ინსტრუმენტი აქტივების სახით აღირიცხება, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებად - უარყოფითი სამართლიანი ღირებულების შემთხვევაში.

წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

ფინანსური აქტივი აღიარდება ფინანსურ იჯარად, როდესაც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. საკუთრების უფლება შეიძლება გადაეცეს ან არა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური იჯარა, მეიჯარისათვის, ბასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად წარსდგება, როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციების ტოლი თანხით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, რამდენადაც, აქტივის იურიდიულ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა, მისაღები საიჯარო გადასახდელები მეიჯარის პოზიციიდან განიხილება, როგორც ძირითადი თანხის დაფარვა და გარკვეული შემოსავლების მიღება, როდესაც მას აუნაზღაურდება და ეკონომიკური სარგებლის სახით დაუბრუნდება ჩადებული ინვესტიცია და მომსახურება.

ფინანსური შემოსავლის აღიარება უნდა ეფუძნებოდეს ფინანსურ იჯარაში მეიჯარის წმინდა საიჯარო ინვესტიციების უკუგების, მუდმივი პერიოდული განაკვეთის ამსახველ მოდელს. საანგარიშო პერიოდის საიჯარო გადასახდელი, მომსახურების დანახარჯების გამოქვითვით, მიმართულია მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიციის საპირისპიროდ, როგორც ძირითადი თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირებისაკენ.

უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია გულისხმობს აქტივის გაყიდვას და იმავე აქტივის იჯარის გზით უკან დაბრუნებას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში საიჯარო ქირა და აქტივის გასაყიდი ფასი ურთიერთდამოკიდებულია, რადგან ისინი განიხილება, როგორც ერთიანი პაკეტი. აქტივის გაყიდვის და მისი იჯარით უკან დაბრუნების ოპერაციის აღრიცხვის წესი დამოკიდებულია იჯარის ტიპზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, გაყიდვიდან ამონაგები თანხის არანაირი ნაშთი მის საბალანსო ღირებულებაზე არ შეიძლება გამყიდველ-მოიჯარის მიერ მაშინვე აღიარდეს შემოსავლის სახით. სანაცვლოდ, იგი აისახება გადავადებული შემოსავლების სახით და თანდათანობით ამორტიზდება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვა არის ფინანსური იჯარა, ოპერაცია წარმოადგენს მეიჯარის მიერ მოიჯარის ფინანსური სახსრებით მომარაგებას, ხოლო აქტივი მის უზრუნველყოფას. ამიტომ არ შეიძლება აქტივის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები თანხის მეტობა მის საბალანსო ღირებულებაზე აღიარდეს შემოსავლის სახით. ეს ნაშთი გადავადდება და ამორტიზდება იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განცხადებით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ორგანიზაციას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

3. შენიშვნა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა.

იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ორგანიზაცია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, დროებითი განსხვავებების წარმოქმნისას აქტივებსა და ვალდებულებებისგან წარმოქმნილ საგადასახადო ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ საბალანსო მაჩვენებელს შორის. რადგან გადავადებული საგადასახადო აქტივი არ დაანგარიშდება, როდესაც აღიარდა აქტივი ან ვალდებულება, მას არ ექნება გავლენა არც ფინანსურ და არც საგადასახადო მოგება-ზარალზე. გადავადებული საგადასახადო აქტივი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთით (და კანონმდებლობით) რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საბალანსო უწყისის თარიღისთვის და მოსალოდნელია მისი გამოყენება, როდესაც მასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი მიიღება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოიქმნება.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), როცა მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებულ ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება სხვა საერთო შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ წარმოიშვება სამომავლო ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან გაიზრდება ვალდებულება, რომელიც საიმედოდაა შეფასებული.

ხარჯები აღიარდება სხვა საერთო შემოსავლების ანგარიშგებაში მაშინვე, თუ ხარჯი აღარ არის მომავალი ეკონომიკური საქმიანობის მოგების ნაწილი, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება აღარ აღიარებს ან წყვეტს მისი როგორც აქტივის აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

სადაც მეიჯარე ორგანიზაცია იჯარისას პრაქტიკულად არ გადასცემს ყველა რისკს და სარგებელს საკუთრების გადაცემის უფლებასთან დაკავშირებით მოიჯარის მიერ, სრული საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი დარიცხვის მეთოდით მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე. იჯარა არის შეუქცევადი, რომლის დროსაც მოიჯარე დაკავშირებულია აქტივის ფლობასთან და მომავალ პირობებთან, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს იჯარის ხანგრძლივობა მომავალი გადასახდელების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, როდესაც იჯარის დაწყებისას მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ორგანიზაციის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი / ლარი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში	203,709	31,625
ფული საბანკო ანგარიშებზე	215,653	386,100
შეზღუდული ფული	34,300	-
ფული გზაში	-	4,959
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	453,662	422,684

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-18 შენიშვნაში.

6. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში აღრიცხვით

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში აღრიცხვით	31 დეკემბერი 2018
უცხოური ვალუტის კონტრაქტები	1,566,929
სულ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში აღრიცხვით	1,566,929

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში აღრიცხვით	31 დეკემბერი 2018
უცხოური ვალუტის კონტრაქტები	1,009,568
სულ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში აღრიცხვით	1,009,568

არაწარმოებულ ოპერაციებს, როგორც არის ბანკებისგან მიღებული სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია იმავე ბანკებში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებით, კომპანია აერთიანებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში (უცხოური ვალუტის კონტრაქტები), იმ მიზეზით, რომ ამგვარი ოპერაციების (დეპოზიტის განთავსება და სესხის აღება) შედეგი, არსებითად, წარმოებულია. ამგვარი დასკვნა შემდეგ ინდიკატორებს ეფუძნება:

- გარიგებები ერთდროულად იდება ერთიმეორის გათვალისწინებით;
- მათში ერთი და იგივე მხარე მონაწილეობს;
- ერთი და იგივე რისკთან არიან დაკავშირებული;
- არ არსებობს გამოკვეთილი ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი საქმიანი მიზანი გარიგებების ცალ-ცალკე დასადებად; შესაძლებელია იმავე შედეგის ერთი გარიგებით მიღწევა;
- არსებობს საწყისი წმინდა ინვესტიცია, რომლის ოდენობაც მცირეა იმასთან შედარებით, რაც მოითხოვებოდა სხვა ტიპის ხელშეკრულებებით, რომლებსაც მსგავსი პასუხი ექნებოდათ საბაზრო ფაქტორების ცვლილებებზე და მომავალ ანგარიშსწორებაზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხები	2,243,584	1,793,459
დარიცხული პროცენტები	88,155	49,208
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	2,331,739	1,842,667
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი*	(50,364)	-
სულ გაცემული სესხები	2,281,375	1,842,667

* როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია ავტომობილით (ან უძრავი ქონებით). ხელმძღვანელობის შეფასებით, სესხის გაცემის დროს უზრუნველყოფილი ქონების რეალური ღირებულება ყოველთვის აჭარბებს ამავე სესხის საბალანსო ღირებულებას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ორგანიზაცია იყენებს ფასს 9-ს მოსალოდნელი ზარალების შეფასებისთვის. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია წინა წელს მიღებული საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე. ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია შემდეგ მაკროეკონომიკური ფაქტორების ინფორმაციით, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის მომხმარებლებზე. ორგანიზაციას არ გაუკეთებია კორექტირებები ფასს 9-ის დანერგვასთან დაკავშირებით, რადგან ახალ სტანდარტის ეფექტი კაპიტალის საწყის ნაშთებზე არააარსებითია.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ზარალი არ იყო აღიარებული, სესხის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, არსებული დადებითი სხვაობის გამო, რომელიც ასევე მოიცავს უზრუნველყოფილი ქონებიდან მიღებული ამონაგების სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირებულ თანხებს. თუმცა 2018 წელს ორგანიზაციამ აღიარა გაუფასურების რეზერვი იმ კლიენტებისთვის, რომლებიც გადახდისუუნარო გახდა გარე ფაქტორების გამო, რომელიც კონტროლს არ ექვემდებარება და უზრუნველყოფაში ჩადებული ავტომობილები არ იძებნება, რომ დაიწყოს აღსრულების პროცესი. ორგანიზაცია ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისთვის აღიარებს დეფოლტს. ხოლო დანარჩენი სესხებისთვის არ არის აღიარებული გაუფასურების რეზერვი საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, არსებული დადებითი სხვაობის გამო, რომელიც ასევე მოიცავს უზრუნველყოფილი ქონებიდან მიღებული ამონაგების სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირებულ თანხებს.

ხელმძღვანელობას არ აქვს მოლოდინი, რომ ბაზარზე არსებულ ფასებში შესაძლო ნეგატიურ მოძრაობას არსებითი გავლენა ექნება სესხების ამოღებაზე.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია გაცემული სესხების ავტომობილებითა და უძრავი ქონებით უზრუნველყოფის მიხედვით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	ავტომობილები	უძრავი ქონება	ავტომობილები	უძრავი ქონება
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	2,331,739	-	1,829,649	13,018
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(50,364)	-	-	-
სულ გაცემული სესხები	2,281,375	-	1,829,649	13,018

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2018 და 2017 წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	-	(5,726)
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	(50,364)	5,726
ნაშთი წლის ბოლოს	(50,364)	-

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაცემული სესხები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე და 30 დღემდე ვადაგადაცილებული	1,912,437	1,769,778
30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული	419,302	72,889
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	2,331,739	1,842,667
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(50,364)	-
სულ გაცემული სესხები	2,281,375	1,842,667

8. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

	31 დეკემბერი 2018
მთლიანი მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	289,514
გამოკლებული: გამოუმუშავებელი შემოსავალი	(124,966)
სულ მთლიანი მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	164,548
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	-
წმინდა მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	164,548

წმინდა მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

9. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
წინასწარ გადახდილი იჯარა	32,688	30,882
დასაკუთრებული აქტივები	29,150	-
სხვა მოთხოვნები	3,640	9,607
სულ აქტივები	65,478	40,489

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვრისთვის	105,434	75,337	42,335	41,239	16,464	280,809
შემოსვლა	3,523	-	4,400	-	9,490	17,413
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	108,957	75,337	46,735	41,239	25,954	298,222
შემოსვლა	5,515	-	-	24,151	6,953	36,619
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	114,472	75,337	46,735	65,390	32,907	334,841
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 1 იანვრისთვის	(13,700)	(10,089)	(4,820)	(7,691)	(2,260)	(38,560)
ცვეთა წლის განმავლობაში	(18,503)	(15,067)	(8,553)	(8,248)	(6,508)	(56,879)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(32,203)	(25,156)	(13,373)	(15,939)	(8,768)	(95,439)
ცვეთა წლის განმავლობაში	(19,513)	(15,067)	(9,347)	(10,701)	(9,386)	(64,014)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(51,716)	(40,223)	(22,720)	(26,640)	(18,154)	(159,453)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	76,754	50,181	33,362	25,300	17,186	202,783
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	62,756	35,114	24,015	38,750	14,753	175,388

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. გადასახადები

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დროებითი სხვაობა 15%- იანი განაკვეთით:	გამოკლებული (დამატებული) სრული		გამოკლებული (დამატებული) სრული	
	31 დეკემბერი 2016	შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2017	შემოსავლის ანგარიშგებაში
გაცემული სესხები	859	(859)	-	7,555
ძირითადი საშუალებები	(2,075)	2,075	-	-
მიღებული სესხები	2,461	(719)	1,742	1,323
გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი	133,938	113,761	247,699	79,062
სულ დროებითი სხვაობები	135,183	114,258	249,441	87,940
აუღიარებელი დროებითი სხვაობები				
გაცემული სესხები	-	-	-	(7,555)
გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი	-	(247,699)	(247,699)	(79,062)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	135,183	(133,441)	1,742	1,323

გადავადებული საგადასახადო აქტივი არ არის აღიარებული გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და გაცემული სესხებისგან წარმოქმნილი დროებითი სხვაობების საფუძველზე, რადგან ხელმძღვანელობა არ არის დარწმუნებული შეძლებს თუ არა ორგანიზაცია აღნიშნული აქტივის გამოყენებას.

მოგების გადასახადის ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-
დროებითი სხვაობების ეფექტი	1,323	(133,441)
მოგების გადასახადის სარგებელი / (ხარჯი)	1,323	(133,441)

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2018	2017
ზარალი დაბეგვრამდე	(590,740)	(757,843)
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი	88,611	113,676
აუღიარებელი საგადასახადო ზარალის ეფექტი	(86,617)	(247,699)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(671)	582
მოგების გადასახადის სარგებელი / (ხარჯი)	1,323	(133,441)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2018	
				დარიცხული პროცენტი	დარჩენილი ძირი
დამფუძნებლები	აშშ დოლარი	6%-9%	დეკემბერი 2020	1,760	160,341
სხვა ფიზიკური პირები	აშშ დოლარი	3.5%-10%	იანვარი 2019 - დეკემბერი 2020	18,678	1,704,811
სულ მიღებული სესხები				20,438	1,865,152

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2017	
				დარიცხული პროცენტი	დარჩენილი ძირი
დამფუძნებლები	აშშ დოლარი	6.0%	ნოემბერი, 2018	2,512	518,440
სხვა ფიზიკური პირები	ლარი - აშშ დოლარი	3.5%-15%	თებერვალი 2018 - ივნისი 2018	9,105	1,053,006
სულ მიღებული სესხები				11,617	1,571,446

სუბორდინირებული სესხები:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2018	
				დარიცხული პროცენტი	დარჩენილი ძირი
აქციონერები	აშშ დოლარი	6.0%	ნოემბერი 2028	176	1,070,640
სულ სუბორდინირებული სესხები				176	1,070,640

ხელშეკრულების მიხედვით, ორგანიზაცია თავდაპირველად იხდის სესხის ძირითად თანხაზე დარიცხულ პროცენტს, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების მოქმედების დასრულებისთვის.

სესხებსა და სუბორდინირებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	1,583,063	1,312,805
ფულადი ნაკადები	1,035,546	775,343
არაფულადი ნაკადები:		
კაპიტალში კონვერტირებული სესხები*	-	(605,425)
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	190,573	99,009
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	147,224	1,331
ნაშთი წლის ბოლოს	2,956,406	1,583,063

*2017 წლის 23 მარტს, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ქალბატონმა რუხსანა ბაშირმა 605,425 ლარის (250,000 აშშ დოლარი) სესხი დააკონვერტირა საწესდებო კაპიტალში.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. საწესდებო კაპიტალი

დამფუძნებლები	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	წილი	მოცულობა	წილი	მოცულობა
იმრან ხიზარ ჰაიატ	20%	603,994	20%	520,400
რუხსანა ბაშირ	16%	483,196	16%	416,320
მუჰამედ ალი	8.5%	256,698	8.5%	221,170
ზუბაირ ულაჰ ხან ბანგაშ	8.5%	256,698	8.5%	221,170
მუჰამედ აბდულაჰ ხან ბანგაშ	8%	241,598	8%	208,160
ატიფ ულაჰ ხან ბანგაშ	8%	241,598	8%	208,160
ფაჰდ ალი შეიკ	6%	181,198	6%	156,120
შოკატ ულაჰ ხან ბანგაშ	6%	181,198	6%	156,120
ჰიბა შეიხ	5.5%	166,098	5.5%	143,110
ჰაჯი საიფ ულაჰ ხან ბანგაშ	5.5%	166,098	5.5%	143,110
ოსმან ბაშირ	4%	120,799	4%	104,080
კიფაიატ ულაჰ ხან ბანგაშ	4%	120,799	4%	104,080
სულ საწესდებო კაპიტალი	100%	3,019,972	100%	2,602,000

*ინფორმაცია საწესდებო კაპიტალში კონვერტირებულ სესხზე გაშიფრულია მე-12 შენიშვნაში.

14. წმინდა საპროცენტო შემოსავლები

საპროცენტო შემოსავალი:	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	1,112,358	558,890
ბანკში განთავსებული სახსრებიდან	-	22,878
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,112,358	581,768
საპროცენტო ხარჯი:		
აქციონერებისგან მიღებული სესხებიდან	(55,859)	(30,109)
სხვა ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხებიდან	(129,276)	(68,900)
სუბორდინირებული სესხებიდან	(5,438)	-
სულ საპროცენტო ხარჯი	(190,573)	(99,009)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	921,785	482,759

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2018	2017
ხელფასის ხარჯი	(800,416)	(731,875)
ბონუსები და სხვა სარგებელი	(34,940)	(14,642)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(835,356)	(746,517)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
იჯარის ხარჯი	(190,394)	(193,734)
კომპიუტერული მხარდაჭერის ხარჯი	(74,457)	(55,557)
ცვთის ხარჯი	(64,014)	(56,879)
დაზღვევის ხარჯი	(58,486)	(51,115)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი*	(49,535)	(33,825)
რეკლამის ხარჯი	(39,905)	(19,280)
სესხის განაცხადის შემოწმების ხარჯი	(23,348)	(26,688)
კომუნიკაციის ხარჯები	(16,153)	(11,719)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(15,589)	(11,811)
დაცვის ხარჯი	(9,484)	(9,675)
სხვა	(56,629)	(34,418)
სულ საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(597,994)	(504,701)

* საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები მოიცავს 2018 და 2017 წლების აუდიტის საფასურს ჯამური ღირებულებით 12,240 ლარი და 7,176 ლარი დღგ-ს გარეშე.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ნორმალური საქმიანობის პირობებში, ორგანიზაციები ჩვეულებრივ ექვემდებარებიან სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს.

ორგანიზაციის კლიენტების მიერ სესხის დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაციას უწევს სამართლებრივ დავებში ჩართვა. ასეთი სამართლებრივი დავების მაქსიმალური გასავალი მომხმარებლისგან მისაღები სესხის თანხაა (მათ შორის დარიცხული პროცენტი და სხვა გადასახადები).

საოპერაციო იჯარის პირობითი ვალდებულება

ორგანიზაცია საოფისე ფართებს იღებს საოპერაციო იჯარით. იჯარის ხელშეკრულებები მოქმედია სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში იჯარის განახლების პირობით. შეუქცევადი საოპერაციო იჯარის პირობითი ვალდებულებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
3 თვემდე	48,199	50,937
3 თვიდან 1 წლამდე	144,597	152,810
1 წლიდან 3 წლამდე	389,592	436,092
3 წელზე მეტი	342,441	382,919
ფინანსური პირობითი ვალდებულებები	924,829	1,022,758

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ. საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკრო საფინანსო ორგანიზაციის (MFO) რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაცია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	249,953	391,059
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,566,929	-
გაცემული სესხები	2,281,375	1,842,667
მოთხოვნები ფინანსური იჯარაიდან	164,548	-
სულ ფინანსური აქტივები	4,262,805	2,233,726

ორგანიზაციის საკრედიტო რისკი კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ეფუძნება ორგანიზაციის ძირითადი მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,009,568	-	-	-
მიღებული სესხები	1,407,161	116,827	385,359	-
სუბორდინირებული სესხები	15,840	48,399	321,368	1,327,594
სხვა ვალდებულებები	17,968	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,450,537	165,226	706,727	1,327,594

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე
მიღებული სესხები	95,493	1,553,771
სხვა ვალდებულებები	14,559	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	110,052	1,553,771

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	56,877	388,254	8,531
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,566,929	-	-
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	164,548	-	-
გაცემული სესხები	2,275,494	5,881	-
სულ ფინანსური აქტივები	4,063,848	394,135	8,531
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,009,568	-	-
მიღებული სესხები	-	1,885,590	-
სუბორდინირებული სესხები	-	1,070,816	-
სხვა ვალდებულებები	17,968	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,027,536	2,956,406	-
ღია საბალანსო პოზიცია	3,036,312	(2,562,271)	8,531

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	62,973	359,711
გაცემული სესხები	1,779,699	62,968
სულ ფინანსური აქტივები	1,842,672	422,679
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი
მიღებული სესხები	50,411	1,532,652
სხვა ვალდებულებები	14,559	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	64,970	1,532,652
ღია საბალანსო პოზიცია	1,777,702	(1,109,973)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზს მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მგრძნობელობა	(ლარი / აშშ დოლარი)		(ლარი/ ევრო)	
	2018	2017	2018	2017
20% ზრდა	(512,454)	(221,995)	1,706	-
20% შემცირება	512,454	221,995	(1,706)	-

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივი და ვალდებულება აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ აქვს გავლენა ორგანიზაციის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში.

19. კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	უმაღლესი მენეჯმენტი
მიღებული სესხები	162,101	-
სუბორდინირებული სესხები	1,070,816	
საპროცენტო ხარჯი	(61,297)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(381,770)	(75,000)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	უმაღლესი მენეჯმენტი
მიღებული სესხები	520,952	-
საპროცენტო ხარჯი	(30,109)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(376,173)	(75,100)

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგულაციები შედის ძალაში. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მისოს არ აქვს უფლება გასცეს სესხები მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წაახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.



შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის“
მმართველობის ანგარიშგება
2018

შინაარსი

მმართველობის ანგარიშგება.....	3
საქმიანობის მიმოხილვა.....	3
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება.....	6
ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	8
პორტფელი.....	9
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	10
ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები.....	10
რისკების მართვა.....	11
კვლევები.....	13
განვითარების გეგმები.....	13
ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები.....	14

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 13 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

20 სექტემბერი, 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 13 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მომზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

20 სექტემბერი, 2019

მმართველობის ანგარიშგება

წინამდებარე დოკუმენტი, მოიცავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ცენტრალი“-ის საქმიანობის ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა კომპანიის საქმიანობის აღწერა, მომსახურების სტანდარტები და სამომავლო პერსპექტივები. ასევე იდენტიფიცირებული და განხილულია ის ბიზნეს რისკები რომლებიც განსაზღვრავენ კომპანიის საქმიანობის ძირითად ასპექტებს. დოკუმენტში ასახულია ორგანიზაციის, მმართველი გუნდის ხედვა შპს მისო „ცენტალის“ ბიზნესსაქმიანობის სტანდარტების და სამომავლო გეგმების შესახებ.

საქმიანობის მიმოხილვა

ორგანიზაციის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი“ (შემდგომში - მისო „ცენტრალი“) წარმოადგენს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე და მათ მოთხოვნათა შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს ნორმატიული აქტების, (მათ შორის ზემოთ აღნიშნული კანონების) და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი“ (ს/კ.: **405121817**) დაფუძნდა 2015 წლის 23 ოქტომბერს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა 2015 წლის 17 დეკემბერს ეროვნული ბანკის N633 განკარგულების თანახმად და გაიცა საქმიანობის ნებართვა.

დამფუძნებლები და მმართველობა

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ორგანიზაციის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი. თითოეული ფილიალის ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს მმართველი, რომელსაც ნიშნავს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო დირექტორის წარდგენით.

ორგანიზაციის მოქმედი პარტნიორები არიან:

- | | |
|--------------------------------|--------------------------------|
| 1. რუხსანა ბაშირ; | 2. მუხამედ ალი შეიკ; |
| 3. ფაჰდ ალი შეიკ; | 4. ჰიბა შეიკ; |
| 5. ოსმან ბაშირ; | 6. ზუბაირ ულაჰ ხან ბანგაშ; |
| 7. მუჰამედ აბდულაჰ ხან ბანგაშ; | 8. ატიფ ულაჰ ხან ბანგაშ; |
| 9. შოკატ ულაჰ ხან ბანგაშ; | 10. ჰიჯი საიფ ულაჰ ხან ბანგაშ; |
| 11. კიფაიატ ულაჰ ხან ბანგაშ; | 12. იმრან ხიზარ ჰაიატ. |

შპს მისო „ცენტრალი“-ის სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან:

1. ტაჰირ ბაშირ - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2. პარვეზ შაჰიდ - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. შოკატ ულაჰ ხან ბანგაშ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
4. ზუბაირ ულაჰ ხან ბანგაშ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
5. იმრან ხიზარ ჰაიატ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

მისო „ცენტრალი“-ის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას მისი დაარსების დღიდან დღემდე ასრულებს იმრან ხიზარ ჰაიატი.

ამოცანები და მიზნები

კომპანიის მიზანია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების და მომხმარებელზე ორიენტირებული, გამჭირვალე საკრედიტო პოლიტიკის გზით, ღირსეული ადგილი დაიკავოს საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარზე. ოპერირების პირველ ეტაპზე კომპანიამ ანალიზის საფუძველზე შეარჩია კონკრეტული ნიშა ბაზარზე საქმიანობის დასაწყებად, შექმნა კონკურენტუნარიანი საკრედიტო პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურადაა მორგებული მომხმარებლის ინტერესებს. განვითარების შემდეგი ეტაპისათვის კომპანიის ამოცანაა, მომხმარებლისათვის ახალი საკრედიტო პროდუქტების შეთავაზებით მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია და სხვადასხვა საკრედიტო სეგმენტის ათვისება.

კომპანია საქმიანობს შემდეგი ღირებულებებითი პრინციპებით:

- პასუხისმგებლობა - პასუხისმგებლიანი საკრედიტო პოლიტიკა, რითაც მინიმუმამდე მცირდება რისკი მომხმარებლისათვის.;
- გამჭვირვალობა - მომხმარებელს სრულად მიეწოდება ინფორმაცია შესაძლო საფრთხეების და რისკების შეახებ ;

- პარტნიორობა - კომპანია ორიენტირებულია ინვესტორთან და მომხმარებელთან ურთიერთობა იყოს დაფუძნებული პარტნიორულ საწყისებზე;
- ხელმისაწვდომობა - არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენტუნარიანი საკრედიტო პოლიტიკის წარმართვისათვის.

კომპანიის ფილიალები

შპს მისო „ცენტრალი“-ი საქმიანობას ახორციელებს 3 ფილიალის მეშვეობით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე - საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის მეორე გასასვლელი N 2. აღნიშნულ მისამართზე მდებარეობს სათაო ოფისი და ცენტრალური ფილიალი.

ფილიალები განთავსებულია მისამართებზე ქ.თბილისი გლდანი-ნაძალადევის რაიონი ო.ხიზანიშვილის ქ.N17 და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, მ.წინამძღვრიშვილის ქ. N137.

ფილიალებისათვის ლოკაციის განსაზღვრა განხორციელდა ბაზრის ანალიზის საფუძველზე. თითოეული ფილიალის არსებობას და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობაში. დინამიურად იზრდება კომპანიის ცნობადობა. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციას, რაც ამცირებს რისკებს და მეტად სტაბილურს ხდის კომპანიის საქმიანობას.

პროდუქტები

კომპანიის საქმიანობის დაწყება დაემთხვა საქართველოსა და მის ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში არსებულ კრიზისს, რაც განაპირობებდა ფინანსურ არამდგრადობას და გაზრდილ რისკს. მიუხედავად ამისა, დამფუძნებლებმა მაინც არ თქვეს უარი ინვესტიციის განხორციელებაზე. რისკების მინიმალიზების მიზნით გადაწყდა ბაზრის ეტაპობრივი ათვისება. თავდაპირველად გადაწყდა მომხმარებლისათვის შეთავაზებულიყო ყველაზე მოთხოვნადი სასესხო პროდუქტები:

- ავტოლომბარდი;
- ავტოსესხი;
- ავტოლიზინგი;
- იპოთეკური სესხი;

ლარის კურსის მკვეთრი ვარდნის, შედეგად საკრედიტო ბაზარზე შექმნილი კრიზისის გამო, პრობლემური გახდა როგორც საბანკო ისე მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების იპოთეკით უზრუნველყოფილი სასესხო პორტფელი, რამაც ფინანსურთან ერთად სოციალური პრობლემაც შექმნა. ამ სამწუხარო რეალობამ განაპირობა, კომპანიის გეგმების კორექტირება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, თავი შეგვეკავებინა საკრედიტო პორტფელის აგრესიული ზრდისაგან და საკრედიტო საქმიანობის პრიორიტეტი ყოფილიყო ავტოლომბარდი და ავტოსესხი, რაც ნაკლებ რისკიანი იყო მომხმარებლისათვის და კომპანიისთვის.

2018 წლის განმავლობაში ლარის კურსის არამდგრადობამ არ მოგვცა საშუალება მომხმარებლისათვის შეგვეთავაზებინა სხვა ახალი იაფი პროდუქტები.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018

2017

საპროცენტო შემოსავალი	1,112,358	581,768
საპროცენტო ხარჯი	(190,573)	(99,009)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	921,785	482,759
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ცვლილება	(50,364)	5,726
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	871,421	488,485
წმინდა მოგება სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით	20,983	-
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	62,523	25,294
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(835,356)	(746,517)
საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(597,994)	(504,701)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა ზარალი	(112,317)	(20,404)
ზარალი დაბეგვრამდე	(590,740)	(757,843)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	1,323	(133,441)
წლის სრული ზარალი	(589,417)	(891,284)

**31 დეკემბერი
2018** **31 დეკემბერი
2017**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფული და ფულის ეკვივალენტები	453,662	422,684
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,566,929	-
გაცემული სესხები	2,281,375	1,842,667
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	164,548	-
ძირითადი საშუალებები	175,388	202,783
სხვა აქტივები	65,478	40,489
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	3,065	1,742
მთლიანი აქტივები	4,710,445	2,510,365
ვალდებულებები		
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,009,568	-
მიღებული სესხები	1,885,590	1,583,063
სუბორდინირებული სესხები	1,070,816	
სხვა ვალდებულებები	24,979	36,365
მთლიანი ვალდებულებები	3,990,953	1,619,428
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	3,019,972	2,602,000
აკუმულირებული ზარალი	-2,300,480	-1,711,063
მთლიანი კაპიტალი	719,492	890,937
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	4,710,445	2,510,365

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი		
საზედამხედველო კაპიტალი (მათ შორის სუბორდინირებული სესხი) /მთლიან აქტივებზე	38%	35%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი		
ლიკვიდური აქტივები/მთლიან ვალდებულებები	11%	26%
გადახდის უნარიანობის კოეფიციენტები		
მთლიანი ვალდებულებები/მთლიან აქტივებზე	62%	65%
მთლიანი კაპიტალი/მთლიანი აქტივები	15%	35%
მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი კაპიტალი	163%	182%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი		
ძირითადი საშუალებები/მთლიან კაპიტალზე	24%	23%

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

მისოს საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,602,000 ლარს. 2018 წელს კი - პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალი 417,972 ლარით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3,019,972 ლარი.

2018 წელს მისოს მიერ მოზიდული იქნა სუბორდინირებული სესხი 1,070,816 ლარის ოდენობით 10 წლის ვადით.

კაპიტალის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო პორტფელი - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელი შეადგენდა 1 842 667 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელი გაიზარდა 2,281,375 ლარამდე.

2017 წლის 31 დეკემბერთან შედარებით (1,583,063 ლარი), 302,527 ლარით გაიზარდა მისოს მიერ მოზიდული სახსრები და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 1,885,590 ლარი. მოზიდული სახსრები მიღებულია დაბალი საპროცენტო განაკვეთით (იხ. ცხრილი), რის შედეგადაც კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 921,785 ლარი. (2017 წლის 31 დეკემბრისათვის - 482,759 ლარი).

31 დეკემბერი 2018წ.



ნასესხები სახსრები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტი	ძირი
აქციონერებისგან	USD	6% - 9.0%	1,760	160,341
სხვა პირებისგან	GEL - USD	3.5%-10%	18,678	1,704,811
სულ ნასესხები სახსრები			20,438	1,865,152


31 დეკემბერი 2017წ.

ნასესხები სახსრები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტი	ძირი
აქციონერებისგან	USD	6% - 9.0%	2,512	518,440
სხვა პირებისგან	GEL-USD	3.5%-10%	9,105	1,053,006
სულ ნასესხები სახსრები			11,617	1,571,446

პორტფელი

სესხების პორტფელის მაჩვენებელი წარმოდგენილია გრაფიკულ გამოსახულებაში





საკრედიტო პოლიტიკიდან გამომდინარე, გირაოს სამართლიანი ღირებულება აჭარბებს უზრუნველყოფილი სესხის საბალანსო ღირებულებას. ეს კი იძლევა საშუალებას, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით, მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში, უზრუნველყოფის მიზნით გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზების გზით, კრედიტის დაფარვა განხორციელდეს სრულად, ან მინიმუმამდე იქნას შემცირებული ნარჩენი ვალდებულება.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის განმავლობაში, მისო-ს მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჩვენი გუნდი - საქმიანობის წარმმართვეაში, არსებითია ადამიანური რესურსის ფაქტორი. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ბაზრის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად, კონკურსის წესით, განხორციელდა კომპანიის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 32 თანამშრომელი. კომპანიას ჰყავს ძლიერი, გამოცდილი და პროფესიონალი მმართველი გუნდი, როგორც წამყვან, ისე შუალედურ მენეჯერულ პოზიციაზე. ვცდილობთ შევექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის მთავარი კრიტერიუმი სამართლიანობა და ობიექტურობაა, რასაც კომპანია ახორციელებს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუს სისტემის და სხვადასხვა მამოტივირებელი ღონისძიებების მეშვეობით. ჯანსაღი გარემოს არსებობის მიზნით კომპანიაში მოქმედებს კომპანიის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი. კომპანიაში თანამშრომელთათვის შექმნილია შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით 2016 წლის 23 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა გამოსცა ბრძანება N 151/04 „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესით განსაზღვრული უმრავლესი საკითხი ბრძანების გამოქვეყნებამდე ისედაც მოქმედებდა ჩვენს ორგანიზაციაში, შესაბამისად უმტკივნეულოდ და მაქსიმალურად სწრაფ ვადებში შევძელით ბრძანებით განსაზღვრული საკითხების დანერგვა და ამოქმედება.

საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საკრედიტო ველი გადანაწილებულია ისე, რომ საბანკოსაგან განსხვავებით, მიკროსაფინანსო ველი წარმოადგენს მაღალრისკიან სექტორს. რისკების მეტნაკლებად დასაბალანსებად, მიკროსაფინანსო ბაზარი შედარებით ძვირი პროდუქტებით ხასიათდება.

მისო ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის დირექტივებით, ფინანსურ ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, არეგულირებს სასესხო პოლიტიკას.

2018 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებაში მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100 %-დან შემცირდა 50%-მდე. პროდუქტების პირობები მოყვანილი იქნა შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან.

რისკების მართვა

კომპანიის წინაშე არსებული ამოცანაა საბაზრო, საკრედიტო, საოპერაციო და ლიკვიდურობის რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა. საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა. რისკების დონის მუდმივი მონიტორინგი. მართვის პროცესი ხორციელდება მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე შესაბამისი რისკის გამოვლენის, იდენტიფიცირების, ანალიზის და მისი მინიმიზებისათვის ღონისძიებების შემუშავების გზით. მენეჯმენტი უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის პროცესში. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურის გამართულ საქმიანობაზე.

საბაზრო რისკი - არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტიტუტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობება საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტოკურსების რყევებზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე საბაზრო რისკების გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკებზე

ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. კომპანია განიცდის უცხოური ვალუტის კურსის რყევების გავლენას, ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადებზე. სავალუტო რისკის მინიმიზების მიზნით კომპანიაში აქტურად მუშაობს ხაზინის სამსახური.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით. ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

საკრედიტო რისკი - ეს არის რისკი რომელიც შეიძლება მიაღწეს კომპანიას მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის იდენტიფიცირებას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობისა და მსესხებლის ტიპიდან გამომდინარე. ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებელზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

სწორედ საკრედიტო რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩა, ოპტიმალური მარჟა პრიორიტეტულ საკრედიტო პროდუქტზე (ავტოსესხი) - მსესხებლის მინიმუმ 30%-ანი თანამონაწილეობა, რაც მინიმუმამდე ამცირებს მსესხებლის მიერ კრედიტის არდაფარვის რისკს. გარდა ამისა, სესხის უზრუნველსაყოფად გირავნობით დასატვირთი სატრანსპორტო საშუალების შეფასება ხორციელდება გარე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. გარდა ამისა კომპანიაში დანერგილია სესხის დამტკიცების რამდენიმე საფეხურიანი პრაქტიკა, რა დროსაც რისკის იდენტიფიცირება ხდება მსესხებლის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული პროცედურა საგრძნობლად ამცირებს საკრედიტო რისკს, რისი იდენტიფიკატორია არსებული პრობლემური პორტფელის სიმცირე.

ლიკვიდურობის რისკი - დაფარვის ვადის დადგომისას, საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს კომპანიის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვა.

- ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს: მოსალოდნელი ფინანსური ნაკადის პროგნოზირებას ძირითადი ვალუტების შესაბამისად და ლიკვიდური აქტივების საჭირო დონის გათვალისწინებას მასთან ურთიერთობაში; წყაროების მრავალფეროვან დაფინანსებას;
- ვალის კონცენტრაციას და პროფილირებას;
- ვალის ფინანსირების გეგმების შემუშავებას;

- ლიკვიდურობისა და დაფინანსების სამოქმედო გეგმების შემუშავებას;

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, რეგულარული მონიტორინგის საფუძველზე, კომპანია უზრუნველყოფს სტაბილური ფინანსირების აქტიურ მხარდაჭერას პარტნიორი ფინანსური ორგანიზაციიდან, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ინფორმაციული უსაფრთხოება - მსესხებელთა პერსონალური ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიაში მოქმედებს ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტი. ხორციელდება შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან. ასევე რეგლამენტირებულია პერსონალის წვდომა პერსონალურ ინფორმაციაზე ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა - კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით წარმოებულ საქმიანობაში. ამ მიზნით კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან.

კვლევები

გასული წლის განმავლობაში, იქიდან გამომდინარე, რომ მისო „ცენტრალი“ ორიენტირებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან ჰარმონიზაციაზე, კვლევებისა და განვითარების (Research & Development) ღონისძიებები არ განხორციელებულა.

განვითარების გეგმები

კომპანია განაგრძობს განვითარებასა და ეროვნული ბანკის რეგულაციების იმპლემენტაციას.

- 2018 წელს მისო „ცენტრალი“-ის განვითარების გეგმას წარმოადგენდა, ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების მაქსიმალურად ინტეგრირება სამუშაო პროცესში;
- საკრედიტო ბაზარზე შექმნილი ახალი რეალობიდან გამომდინარე, მომხმარებლის მოთხოვნაზე ორიენტირებული ახალი პროდუქტების შექმნა;
- კომპანიის შემოსავლების ზრდის მიზნით, ხაზინის სამსახურის საქმიანობის გააქტიურება;
- აღნიშნულ მომსახურებაზე მოთხოვნის შემთხვევაში, ფულადი გზავნილების სისტემების დანერგვა.

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი განხორციელდა გარდა ფულადი გზავნილების სისტემის დანერგვისა, ამრიგად 2019 წლისთვის დაისახა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

1. სასესხო პორტფელის დინამიური ზრდა;
2. მომსახურების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა;
3. სასესხო პორტფელის დივერსიფიკაცია და რისკების მინიმიზაცია;
4. მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა;
5. მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაცია;
6. ფილიალების ქსელის სტაბილური განვითარებისათვის ბაზისის შექმნა და რეგიონალური პერსპექტივების ანალიზი;
7. ფულადი გზავნილების სისტემის დანერგვა.

2019 წელს სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტის და თითოეული თანამშრომლის ძალისხმევა მიმართული იქნება კომპანიის სტაბილური განვითარების და ზრდისათვის, რაც განაპირობებს მის მდგრად პოზიციონირებას ფინანსურ ბაზარზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ცენტრალი“ (ს/კ.: 405121817)

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი

იმრან ხიზარ ჰაიატი

1. სასესიო პორტფელის დინამიური ზრდა;
2. მომსახურების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა;
3. სასესიო პორტფელის დივერსიფიკაცია და რისკების მინიმიზაცია;
4. მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა;
5. მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაცია;
6. ფილიალების ქსელის სტაბილური განვითარებისათვის ბაზისის შექმნა და რეგიონალური პერსპექტივების ანალიზი;
7. ფულადი გზავნილების სისტემის დანერგვა.

2019 წელს სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტის და თითოეული თანამშრომლის ძალისხმევა მიმართული იქნება კომპანიის სტაბილური განვითარების და ზრდისათვის, რაც განაპირობებს მის მდგრად პოზიციონირებას ფინანსურ ბაზარზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ცენტრალი“ (ს/კ.: 405121817)

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი

იმრან ხიზარ ჰაიატი